საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/173

ქ. ბათუმი 13 ოქტომბერი, 2021 წელი

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წლის შემოდგომისათვის დამატებითი მიღების (აპლიკანტთა შერჩევის მეორე ეტაპი) გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს: 2020 წლის 7 თებერვლის N19, 2020 წლის 31 ივლისის MES 1200000649005 და 2020 წლის 31 ივლისის MES 0200000649004 გადაწყვეტილებების, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების, „2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, დაწესებულებების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების ვადის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის MES 9 21 0000666445 ბრძანების, ,,2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის MES 6 21 0000673778 ბრძანების, ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების, „2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, იმ აპლიკანტებისთვის, რომლებიც 2021 წელს მათ მიერ არჩეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ვერ ჩაირიცხნენ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების არჩევის ვადების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 8 ოქტომბრის MES 6 21 0001061325 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანებაში ცვლილების და დამატების შესახებ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 08 ივლისის N 01-02/103 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად პროფესიული სტუდენტების

ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 08 ოქტომბრის N 01-08/573 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2021 წლის 13 ოქტომბრის N1085819 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს დამატებითი მიღება (აპლიკანტთა შერჩევის მეორე ეტაპი) წინამდებარე ბრძანების N1 **დანართით** გათვალისწინებულ ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (სწავლა დაიწყება 2021 წლის 8 ნოემბერს).
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს **2020 წლის 13 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით,** ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - http://vet.emis.ge/ ან/და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დისტანციური მხარდაჭერით (ცხელი ხაზი: 591 95 76 62).
3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის პროცესში ჩართვის შესაძლებლობა აქვთ იმ აპლიკანტებს, რომლებიც 2021 წელს დარეგისტრირდნენ პორტალზე - vet.emis.ge და ვერ მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, კერძოდ:

ა) აპლიკანტები, რომლებმაც გაიარეს შერჩევის პროცესი, თუმცა კონკურსის გამო ვერ ჩაირიცხნენ სასურველ პროგრამაზე;

ბ) აპლიკანტები, რომლებიც დარეგისტრირებულნი იყვნენ პორტალზე, თუმცა ვერ შეძლეს შერჩევის პროცესში მონაწილეობა;

გ) აპლიკანტები, რომლებმაც მოიპოვეს ჩარიცხვის უფლება, თუმცა დადგენილ ვადაში არ მიმართეს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს საბუთების წარსადგენად.

4. აპლიკანტი უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ირჩევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შერჩევის ძირითად ეტაპზე გავლილი აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირება და გადალახული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
5. საბაზოო და საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის შემთხვევაში, აპლიკანტი ხელახლა გადის პროგრამისთვის განსაზღვრულ შერჩევის ეტაპს და მონაწილეობს კონკურსში. აპლიკანტს შეუძლია აირჩიოს განსხვავებული პროგრამა, რომელიც არ ჰქონდა მონიშნული შერჩევის ძირითად ეტაპზე;
6. აპლიკანტს შეუძლია აირჩიოს იგივე პროგრამა, რომელიც მონიშნული ჰქონდა შერჩევის ძირითად ეტაპზე, იმის მიუხედავად, მონაწილეობდა თუ არა შერჩევის პროცესში და გადალახა თუ არა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ამასთან, თუ აპლიკანტმა შერჩევის ძირითად ეტაპზე გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და ვერ მოიპოვა სტუდენტის სტატუსი, მას შეუძლია კონკურსში ჩაერთოს უკვე მიღებული შეფასების შედეგით ან მოითხოვოს შერჩევის პროცესში განმეორებით ჩართვა, შედეგის გაუმჯობესების მიზნით.

7. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს აპლიკანტთა დისტანციური მხარდაჭერა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.
8. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'') და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებსა და საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
9. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წლის შემოდგომისათვის დამატებითი მიღების (აპლიკანტთა შერჩევის მეორე ეტაპი) გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 13 ოქტომბრის N 01-02/173ბრძანების
დანართი 1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებზეც ცხადდება დამატებითი მიღება 2021 წლის შემოდგომისათვის (სწავლა დაიწყება 2021 წლის 8 ნოემბერს

	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებში		პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა თვეების მიხედვით		ადგილების რაოდენობა	მათ შორის ადგილების რაოდენობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის
		ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის		
1	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (III დონე, მოდულური)	63	78	10	13	4	0
2	სატყეო საქმე (IV დონე, მოდულური)	48	78	10	15	4	1
3	მებაღეობა (IV დონე, მოდულური)	85	115	15	20	12	1
	სულ:					**20**	**2**